



საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია

მუხლი 1. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის შესრულების ზოგადი რეგულაციები

1. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები.
2. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის საჯარო დაცვისათვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 5 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარე არის ფაკულტეტის დეკანი ან შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი; საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მსვლელობასა და შედეგებზე დგება საბოლოო ოქმი.
3. დამამთავრებელი სემესტრის დაწყებისთანავე საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის თემატიკის ჩამონათვალს ადგენს შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი ან/და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
4. სტუდენტისთვის საბაკალავრო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანების წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ;
5. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის რეცენზენტს განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. რეცენზენტი წერს მოკლე რეზიუმეს ნაშრომის შესახებ, რომელიც წარედგინება შესაბამის კომისიას ნაშრომის საჯარო დაცვამდე. რეცენზენტი ვალდებულია უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ორი კვირით ადრე მაინც) აცნობოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელსა და სტუდენტს. დიპლომის დანართში საბაკალავრო ნაშრომი შედის, როგორც ცალკე პუნქტი და ფასდება, როგორც სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული შემაჯამებელი სავალდებულო კომპონენტი.
6. კომისიას უნდა წარედგინოს საბაკალავრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი.
7. ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება სულ მცირე 15 წუთით; დაცვის პროცესში ბაკალავრს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება.
8. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესს, გაუწიოს მას სათანადო კონსულტაციები (საკონტაქტო საათები), შეაფასოს საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის მომზადების პროცესი (შეუალეღური შეფასება);

მუხლი 2 . საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის შეფასება

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება ორ ეტაპად: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით.

2. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასებების მაქსიმალური ქულაა – **60 ქულა**;

3. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას აფასებს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი მაქსიმუმ **30 ქულის ფარგლებში**;

4. სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის მომზადების ფარგლებში ფასდება შემდეგი კომპონენტები:

ა) თემის შერჩევის დასაბუთება, მასალის მოძიება, ბიბლიოგრაფიული წყაროების შერჩევა, გეგმის შედგენა - 5 ქულა:

- თემის შერჩევა დასაბუთებულია, მასალა მოძიებულია, ბიბლიოგრაფიული წყაროები შერჩეულია თემის შესაბამისად, გეგმა შედგენილია ზუსტად - **5-4 ქულა**;
- თემის შერჩევა დასაბუთებულია ნაწილობრივ, მასალა მოძიებულია, თუმცა არასაკმარისად, ბიბლიოგრაფიული წყაროები შერჩეულია, თუმცა საჭიროებს სისტემატიზირებას და დახვეწას. გეგმა შედგენილია - **3-2 ქულა**
- თემა შეარჩია, თუმცა არ არის დასაბუთებული, მწირი რაოდენობის მასალის მოძიება შეძლო, ბიბლიოგრაფიული წყაროებიც მწირია, გეგმას არ აქვს გარკვეული კომპონენტები - **1 ქულა**;
- თემის შერჩევა არ არის დასაბუთებული, მასალის მოძიება ვერ მოახერხა, ბიბლიოგრაფიული წყაროები ვერ შეარჩია, გეგმის შედგენა ვერ შეძლო - **0 ქულა**;

ბ) შერჩეული ბიბლიოგრაფიის (ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალის) შესწავლა და მათზე მოკლე ანოტაციების შედგენა - 10 ქულა:

- სტუდენტს ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფია (ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალა) და სწორად და შინაარსობრივად კარგად აქვს შედგენილი მათზე მოკლე ანოტაციები - **10-9 ქულა**;
- სტუდენტს კარგად აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფია (ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალა) და აზრობრივად დალაგებული აქვს მოკლე ანოტაციები - **8-7 ქულა**;
- სტუდენტს ნაწილობრივ აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფია (ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალა) და შედგენილი აქვს მათზე მოკლე ანოტაციები, რომლებიც საჭიროებენ დახვეწას - **6-5 ქულა**;
- სტუდენტს მხოლოდ რამდენიმე წყარო აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფიიდან (მხოლოდ ფაქტობრივი მასალა) და შედგენილი ანოტაციები დასალაგებულია აზრობრივად - **4-3 ქულა**;
- სტუდენტს მხოლოდ 1 წყარო აქვს შესწავლილი შერჩეული ბიბლიოგრაფიიდან (მხოლოდ სტატისტიკური მასალა) და ანოტაციები ვერ წარმოადგინა - **2-1 ქულა**;
- სტუდენტს არ აქვს არცერთი წყარო შესწავლილი, არ აქვს შერჩეული ბიბლიოგრაფია და ვერ შეადგინა მოკლე ანოტაციები - **0 ქულა**;

გ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტის დაწერა/აპრობაცია/ძირითადი თეზისების ფორმულირება - 15 ქულა:

- ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა ძალიან კარგად/აპრობაციას ახდენს /ძირითადი თეზისები ფორმულირებულია და წარმოდგენილია - **15-13 ქულა**;

- ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა კარგად/აპრობაციას ახდენს /ძირითადი თეზისები ფორმულირებულია- **12-11 ქულა:**
- ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა ნაწილობრივ/აპრობაციას ასრულებს მაგრამ არადაამაჯერებლად, თეზისების მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი- - **10-8 ქულა:**
- ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა დაწერა, მაგრამ აღინიშნება შცოდმები/აპრობაცია უჭირს, თეზისების მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი- - **7-5 ქულა:**
- ნაშრომის ტექსტური ვარიანტი საჭიროებს დამუშავებას/აპრობაცია უმნელდება/ თეზისების მხოლოდ მცირე ნაწილია ფორმულირებული- **4-3 ქულა;**
- ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სუსტია/აპრობაცია არ შეუძლია/ძირითადი თეზისების არ არის წარმოდგენილი - **2-1 ქულა;**
- ნაშრომის ტექსტური ვარიანტი სტუდენტმა ვერ წარმოადგინა, ვერ დაწერა, ძირითადი თეზისების ფორმულირება ვერ მოახდინა - **0 ქულა.**

5. საბაკალავრო ნაშრომის შუალედურ შეფასებას ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი მაქსიმუმ **30 ქულის ფარგლებში;**

6. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტის მიერ ფასდება შემდეგი კომპონენტები:

ა) ფაქტობრივი მასალის ფლობა - მაქსიმუმ **10 ქულა:**

- სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს ფაქტობრივ მასალას - **მაქსიმუმ 10 -9 ქულა;**
- სტუდენტი კარგად ფლობს ფაქტობრივ მასალას-**8-7 ქულა**
- სტუდენტი ფლობს ფაქტობრივი მასალის დიდ ნაწილს-**6-5 ქულა**
- სტუდენტი სრულყოფილად ვერ ფლობს ფაქტობრივ მასალას-**4-3 ქულა**
- სტუდენტი იცნობს ფაქტობრივ მასალას, მაგრამ ვერ გადმოსცემს მის შინაარსს-**2-1 ქულა**
- სტუდენტი საერთოდ ვერ ფლობს ფაქტობრივ მასალას-**0 ქულა**

ბ) გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია - მაქსიმუმ **5 ქულა:**

- გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია კარგად არის წარმოდგენილი - **მაქსიმუმ 5-4 ქულა:**
- გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია სუსტია - **მაქსიმუმ 3-2 ქულა:**
- გადმოცემის თანმიმდევრობა ბუნდოვანია, არგუმენტაცია არადაამაჯერებელი - **მაქსიმუმ 1 ქულა:**
- გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია არ არის დაცული - **0 ქულა:**

გ) კვლევისა და ანალიზის უნარი, სამეცნიერო სიახლე - მაქსიმუმ **10 ქულა:**

- სტუდენტმა თემაზე მუშაობის პროცესში გამოიმუშავა კვლევისა და ანალიზის უნარი, ნაშრომს აქვს სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა -**10-9 ქულა**

- სტუდენტმა თემაზე მუშაობის პროცესში გამოიმუშავა კვლევისა და ანალიზის უნარი, თუმცა საჭიროებს ხელმძღვანელის მეთვალყურეობას, ნაშრომს აქვს სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა **-8-7 ქულა**
- სტუდენტს არ გააჩნია კვლევის უნარი, თუმცა ავლენს ანალიზის უნარს, ნაშრომის სამეცნიერო სიახლე აქვს ნაწილობრივ **-6-5 ქულა**
- სტუდენტს ნაწილობრივ ფლობს კვლევისა და ანალიზის უნარებს, ნაშრომს არ აქვს სამეცნიერო სიახლე
- **-4-3 ქულა**
- სტუდენტს არ გააჩნია კვლევისა და ანალიზის უნარი, ნაშრომს აკლია სამეცნიერო სიახლე **2-1 ქულა**
- სტუდენტს არ გააჩნია კვლევისა და ანალიზის უნარი, ნაშრომს არ აქვს სამეცნიერო სიახლე **-0 ქულა**

დ) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - მაქსიმუმ 5 ქულა:

- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული მხარე მოწესრიგებულია და დაცულია ყველა მოთხოვნა - **მაქსიმუმ 5-4 ქულა.**
- ნაშრომის ტექნიკური მხარე ნაწილობრივ მოუწესრიგებელია, არ არის დაცული ტექნიკური პარამეტრები, სტილისტური და გრამატიკული შეცდომები აღინიშნება მცირედით - **მაქსიმუმ 3-2 ქულა.**
- ნაშრომის ტექნიკური მხარე გაუმართავია, შეინიშნება სტილისტური და გრამატიკული შეცდომები დიდი რაოდენობით - **მაქსიმუმ -1 ქულა.**
- ნაშრომი ტექნიკურად, სტილისტურად და გრამატიკულად არ არის გამართული მაქსიმუმ **-0 ქულა.**

7. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება (მაქსიმუმ 40 ქულა), გულისხმობს საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვას/პრეზენტაციას კომისიის წინაშე:

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის/პრეზენტაციისას ფასდება:

ა) საბაკალავრო ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან - მაქსიმუმ 15 ქულა:

- პრეზენტაციას გააჩნია მიზნები და გადმოსცემს მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას პრეზენტირებულ თემაზე - **15-14 ქულა;**
- პრეზენტაციას გააჩნია მიზნები და გადმოსცემს ინფორმაციას პრეზენტირებულ თემაზე - **13-12 ქულა;**
- პრეზენტაციას გააჩნია მიზნები და ნაწილობრივ გადმოსცემს მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას პრეზენტირებულ თემაზე - **11-10 ქულა;**
- პრეზენტაციის მიზნები დასახულია, თუმცა პრეზენტირებული თემის არსს გადმოსცემს სქემატურად - **9-8 ქულა;**
- პრეზენტაციაში მიზანი ისახება ბუნდოვნად, თემა გადმოცემულია, მაგრამ არ არის გამოკვეთილი და სრულფასოვანი - **7-6 ქულა;**
- პრეზენტაციის თემა არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი - **5-4 ქულა;**
- საპრეზენტაციო თემაში გამოტოვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხი - **3-2 ქულა;**
- პრეზენტაციის თემის უმეტესი ნაწილი არ შეესაბამება პრეზენტაციის მიზნებს - **1 ქულა;**

- პრეზენტაცია საერთოდ არ არის წარმოდგენილი– 0 ქულა.

ბ)პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება- მაქსიმუმ 10 ქულა:

- პრეზენტაციას გააჩნია სრული მონაცემები, აღინიშნება სხვადასხვა წყაროების დიდი რაოდენობით გამოყენება, მსჯელობა დასაბუთებული და არგუმენტირებულია. მოსაზრებები ნათლად არის წარმოდგენილი-**10-9 ქულა;**
- თემა სრულად არის გაშუქებული, გამონაკლისის სახით დაშვებულია შეცდომები, მწირია წყაროების გამოყენება- **8-7 ქულა;**
- შეზღუდულია მონაცემები, დასკვნები არ არის გაკეთებული, 1-2 წყაროა გამოყენებული - **6-5 ქულა;**
- მსჯელობა დასაბუთებულია, მაგრამ არგუმენტების დიდი ნაწილი არათანამიმდევრული, არალოგიკურია - **4-3 ქულა.**
- მსჯელობა დასაბუთებულია, მაგრამ არგუმენტების დიდი ნაწილი არათანამიმდევრული, არალოგიკურია **2-1 ქულა**
- სტუდენტი ვერ აყალიბებს აზრს, ვერ გადმოსცემს ნაშრომის შინაარსს -**0 ქულა**

გ)პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება)- მაქსიმუმ 10 ქულა:

- გაფორმების ყველა პუნქტი დაცულია, პრეზენტაციის ფონი კარგად აღიქმება, სლაიდები პრეზენტაციის თემის შესაბამისია, სლაიდების გაფორმებაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის საშუალებები: ანიმაციები, სურათები და სხვ. ობიექტები-**10-9 ქულა;**
- ვიზუალური მხარე სრულყოფილია, გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები - **8-7 ქულა;**
- ვიზუალური მხარე ნაწილობრივ მოწესრიგებულია, თვალსაჩინოების გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში არაადეკვატურია -**6-5 ქულა**
- გაფორმებულია ნაშრომის მხოლოდ პირველი გვერდი, წარმოადგინა თვალსაჩინოებები და ვერ გამოიყენა - **4-3 ქულა**
- ტიტული არ არის გაფორმებული, არც ერთი პუნქტი არ არის სწორად მითითებული, სლაიდები და გაფორმების სხვა საშუალებები არ არის გამოყენებული-**2-1 ქულა.**
- არ არის მოწესრიგებული ტექნიკური მხარე და ვიზუალური მხარე, არ წარმოადგინა თვალსაჩინოებები - **0 ქულა**

დ)პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან - მაქსიმუმ 5 ქულა:

- კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებულია და ეფექტურია, მეტყველება სწორი, კარგი და საინტერესოა, აუდიტორიის რეაქცია ადეკვატურია-**5-4 ქულა;**
- კონტაქტი აუდიტორიასთან სუსტია, ხანდახან უინტერესო, პრობლემების წამოჭრა არ ხდება, აუდიტორია განიცდის სირთულეს პრეზენტატორისა და პრეზენტაციის აღქმის პროცესში-**3-2 ქულა;**
- კონტაქტი პრეზენტატორსა და აუდიტორიას შორის დაკარგულია, აუდიტორია ვერ აღიქვამს პრეზენტაციას-**1 ქულა.**
- პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან ვერ ხერხდება სტუდენტის მხრიდან-**0 ქულა**

მუხლი 3. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის საბოლოო შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. საბაკალავრო პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით შესრულებისა და **საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის** დაცვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (51-100 ქულა) კურსდამთავრებულს ენიჭება **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** და გაიცემა სათანადო დიპლომი;
2. **საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის** განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა შეიძლება იმავე სემესტრში, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება 41-50 ქულა /FX-ის ვერ ჩააბარა/ საფუძველზე - არანაკლებ 10- დღიანი შუალედის დაცვით.

მუხლი 4. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის გაფორმება

1. **საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის** მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 30 გვერდზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამავე ფორმატის 50 გვერდს. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს სტანდარტული შრიფტით (Sylfaen), ძირითადი ნაწილის ზომა 12, სათაურები და ქვესათაურები - ზომა 14; სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5 ინტერვალი.
2. **საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის** სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კომპონენტები:
 - ა) **თავფურცელი** - წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს დანართში მოყვანილი ნიმუშის მიხედვით;
 - ბ) **სარჩევი** - საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. მასში უნდა აისახოს ნაშრომის ყველა თავის, ქვეთავისა და პარაგრაფის დასახელება გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან;
 - გ) **შესავალი** - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანის (ამოცანების) შინაარსი, საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები;
 - დ) **ტექსტის ძირითადი ნაწილი** - შეიძლება დაიყოს თავებად (პარაგრაფებად);
 - ე) **დასკვნა** - წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელმაც უნდა უპასუხოს ყველა იმ ამოცანას, რომელიც ბაკალავრს გამოაქვს საჯარო დაცვაზე;
 - ვ) **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა** - წარმოდგენილ უნდა იქნას ანბანური თანმიმდევრობით; ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე. სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები; წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას უნდა დასახელდეს სახელწოდება, ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, გამომცემლობა, გამოცემის წელი;
 - ზ) **დანართები** (საჭიროების შემთხვევაში) დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.
 - თ) **ანოტაცია** - საბაკალავრო ნაშრომის შეიძლება შეიცავდეს ანოტაციას ანუ მოკლედ, არაუმეტეს ორ გვერდად ჩამოყალიბებულ საბაკალავრო ნაშრომის თემის აქტუალურობას, მიზნებსა და დასკვნებს;

3. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის გამოტოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. ინომრება ყველა გვერდი, გარდა თავფურცელისა;

4. გამოყენებული ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოყვანილი ნაშრომის ბოლოსაც;

5. სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს, შრიფტის ზომა 10, ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით.

მუხლი 5. დათქმა

წინამდებარე ინსტრუქცია არის საერთო თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამისათვის, თუ ცალკეული პროგრამა არ ითვალისწინებს განსხვავებულ მოთხოვნებს.



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი

თემის დასახელება

ხელმძღვანელი: გვარი,სახელი

ხარისხი, აკადემიური თანამდებობა

თბილისი

20__



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
შუალედური შეფასების უწყისი
/სტუდენტის მიერ საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის მომზადების შეფასება
ხელმძღვანელის მიერ/

ფაკულტეტი _____

საბაკალავრო პროგრამა _____

სტუდენტი _____

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი თემაზე

შეფასების კომპონენტები	შესაბამისი მაქსიმალური ქულები	შეფასება
<i>თემის შერჩევა, მასალის მოძიება, ბიბლიოგრაფიული წყაროების შერჩევა, გეგმის შედგენა</i>	5 ქულა	
<i>შერჩეული ბიბლიოგრაფიის (ფაქტობრივი და სტატისტიკურის მასალის) შესწლა და მათზე მოკლე ანოტაციების შედგენა</i>	10 ქულა	
<i>ნაშრომის ტექსტური ვარიანტის დაწერა/აპრობაცია/ძირითადი თეზისების ფორმულირება</i>	15 ქულა	
საერთო რაოდენობა		
ხელმძღვანელის დასკვნა და კომენტარები		

ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

თარიღი _____

დეკანი _____



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
შუალედური შეფასების უწყისი 2
/რეცენზენტის დასკვნის შეფასების უწყისი/

ფაკულტეტი _____

საბაკალავრო პროგრამა _____

სტუდენტი _____

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი თემაზე „

შეფასების კომპონენტები	შესაბამისი მაქსიმალური ქულები	შეფასება
ფაქტობრივი მასალის ფლობა	10	
გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია	5	
კვლევისა და ანალიზის უნარი, სამეცნიერო სიახლე	10	
ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა	5	
საერთო რაოდენობა		
რეცენზენტის დასკვნა და კომენტარები		

რეცენზენტის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის დეკანი _____



**საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის დასკვნითი შეფასების უწყისი
საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის საჯარო დაცვა/პრეზენტაცია**

ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

—

№	სტუდენტის გვარი სახელი	პრეზენტაციის შეფასების კომპონენტები				შეფასება
		შესაბამისობა პრეზენტაციის მიზნებთან (მაქსიმუმ 15 ქულა)	პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება (მაქსიმუმ 10 ქულა)	პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება) (მაქსიმუმ 10 ქულა)	პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან (მაქსიმუმ 5 ქულა)	

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრების ხელმოწერა

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

კომისიის მდივანი

თარიღი



საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის საბოლოო შეფასების უწყისი

ფაკულტეტი _____

საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები

№	სტუდენტის გვარი, სახელი	შუალედური შეფასებები (მაქსიმუმ 60 ქულა)	დასკვნითი გამოცდის შეფასება (მაქსიმუმ 40 ქულა)	დამატებითი გამოცდის შეფასება (მაქსიმუმ 40 ქულა)	საბოლოო ქულა	საბოლოო შეფასება

კომისიის თავმჯდომარე

- კომისიის წევრები და ხელმოწერა
1. _____
 2. _____
 3. _____
 4. _____
 5. _____

კომისიის მდივანი _____

თარიღი _____

პროფესიული (სასწავლო-საწარმოო) პრაქტიკის შესრულების ინსტრუქცია
მუხლი 1. პრაქტიკის აღწერა

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, უნივერსიტეტისა და დამსაქმებლებათვის. პროფესიული პრაქტიკის ფორმატიდან გამომდინარე სასწავლო პრაქტიკა ტარდება უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ობიექტზე/კლინიკაში, ხოლო საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ, ვისთანაც უნივერსიტეტს გააჩნია სახელშეკრულებო ურთიერთობები და დადებული აქვს კონტრაქტები. პრაქტიკის ობიექტი (პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი სტრუქტურული ერთეული არის დარგის შესაბამისი.

მუხლი 2. პრაქტიკის ორგანიზება

პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი (თქუ შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელი), რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის სილაბუსის განხორციელებაზე; საწარმოო პროფესიული პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტში სტუდენტზე ზედამხედველობის განხორციელებაზე და უნივერსიტეტს უკავშირდება შესაბამისი კონტრაქტით ან სხვა წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მოსამზადებელი შეხვედრა, სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; საწარმოო პრაქტიკის ადგილის გაცნობა მენტორის მიერ; სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება; სტუდენტის ზედამხედველობა მენტორის მიერ; სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის დღიურის წარმოება, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება, პრაქტიკის შუალედური შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის მიერ; პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა (დასკვნითი შეფასება) სპეციალური დარგობრივი კომისიის წინაშე /იხ. მუხ. 6/.

მუხლი 3. პრაქტიკის სილაბუსი

პრაქტიკის სილაბუსის ფორმას შეიმუშავებს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო წესით უნდა აისახოს: კურსის სახელწოდება, სასწავლო კურსის კოდი, სასწავლო კურსის სტატუსი, პრაქტიკის ობიექტი, ECTS კრედიტი, სასწავლო კურსის ფორმატი, პრაქტიკის ხელმძღვანელი/მენტორი, პრაქტიკის მიზნები, სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები, პრაქტიკის პროცესში განსახორციელებელი აქტივობა/შინაარსი, პრაქტიკის შედეგები (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები), სწავლებისა და სწავლის მეთოდები, პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები. და სხვ.

მუხლი 4. პრაქტიკის დღიური

სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა, რაც მას დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის ან პროექტის მომზადებაში. დღიური მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- თარიღი,
- საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის განყოფილება/დეპარტამენტი/ერთეული;
- შესრულებული ფუნქცია,
- კომენტარი.

პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის დაფიქსირებაში დამატებით შესაძლებელია კომპეტენციების განვითარების დღიურის წარმოებაც.

კომპეტენციების განვითარების დღიური

დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები	მაგალითები
საკომუნიკაციო უნარები (ლინგვისტური უნარები)	
ჯგუფში მუშაობა	
საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი და ა.შ.	

**მუხლი 5 . პრაქტიკის ანგარიში
პრაქტიკის ანგარიშის შედეგის ინსტრუქცია**

- თავფურცელი;
- უმაღლესი სასწავლებელი;
- პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის დასახელება;
- პრაქტიკის დაწყებისა და დამთავრების თარიღი;
- სტუდენტის სახელი და გვარი;
- პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- რეზიუმე;
- პრაქტიკის ანგარიშის ერთგვერდიანი შეჯამება;
- სარჩევი;
- საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის აღწერა

ანგარიშის ეს ნაწილი უნდა ასახავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი და მოკლე ისტორია;
- საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საკუთრების ფორმა, სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს; წარმოებული პროდუქცია და/ან მომსახურება და ძირითადი მომხმარებლები საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა (სქემა), უსაფრთხოების და ეთიკის ნორმების რეგულირება;

პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი, ანგარიშის ძირითადი ნაწილია. მასში უნდა აისახოს განხორციელებული საქმიანობა და ამ პროცესში დადგეგმილი სწავლის წედეგების მიღწევის გზები. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდით პრაქტიკის დროს?
 - პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი/ან დაუგეგმავი რომელი უნარები შეიძინეთ და/ან განავითარეთ პრაქტიკის პროცესში?
 - რამდენად შეესაბამებოდა პრაქტიკის დროს თვენს მიერ განხორციელებული საქმიანობა თქვენს მიერ მანამდე გამოიმუშავებულ დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს?
- აქ სტუდენტმა შეიძლება გადმოსცეს ის სიახლეები, რომელსაც გაეცნო პრაქტიკის პროცესში: უპასუხოს კითხვაზე - რა გავლენას მოახდენს პრაქტიკა თქვენს სამომავლო კარიერულ გეგმებზე?

- დასკვნები;

მოიცავს პრაქტიკიდან მიღებულ ძირითად დასკვნებს და ზოგად დაკვირვებას პრაქტიკის ობიექტზე

- დანართი;
- გრაფიკები, ცხრილები, სურათები და ა.შ.

მუხლი 6 . პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვის /დასკვნითი გამოცდის/ ორგანიზება

9. პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვისათვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისიები, რომელთაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარე არის ფაკულტეტის დეკანი ან საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო კომისიის წევრები: პრაქტიკის ხელმძღვანელი და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი (მენტორი). პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვის მსვლელობასა და შედეგებზე უნდა შედგეს საბოლოო ოქმი და შეივსოს საგამოცდო უწყისი.
10. პრაქტიკის ანგარიშის განმეორებით საჯარო დაცვაზე წარმოდგენა შეიძლება იმავე სემესტრში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება 41-50 ქულა /FX-ის ვერ ჩააბარა/ საფუძველზე - არანაკლებ 10-დღიანი შუალედის დაცვით.

მუხლი 7 . პრაქტიკის შეფასება

პრაქტიკის შეფასება ხდება ორ ეტაპად: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით.

პრაქტიკის **შუალედური შეფასებისას**, სტუდენტმა უნდა დააგროვოს მაქსიმუმ **60 ქულა** და ითვალისწინებს 2 ეტაპს და კომპონენტს :

ა) აქტივობა-მაქსიმუმ 30 ქულა

ბ) პრაქტიკის დღიურის წარმოება - მაქსიმუმ 30 ქულა

აქტივობა გულისხმობს:

ა) სტუდენტის დასწრება/მონაწილეობა პრაქტიკული მეცადინეობაზე, რომლის დროს მოწმდება სტუდენტის აქტიურობა პრაქტიკის ობიექტზე. მოწმდება შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე, აქტიურობის ხარისხი, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის ეფექტურად გამოყენების დონე, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე, ობიექტზე დასმული შეკითხვების და პასუხების ადეკვატურობა, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი, კომუნიკაციის უნარი, ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობის უნარი. ერთი კვირის განმავლობაში სტუდენტის აქტიურობა ვასდება მაქსიმუმ 3 ქულით, მინიმუმ 0 ქულით: 10×3 ქულაზე=30 ქულა.

ყოველკვირეული აქტივობის შეფასების კრიტერიუმებია:

3 ქულა: სტუდენტი ბრწყინვალედ არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე მაღალია, აქტიურობის ხარისხი მაღალია, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის ეფექტურად გამოყენების დონე მაქსიმალურია, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე გააჩნია, ობიექტზე დასმული შეკითხვები და პასუხები ადეკვატურია, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი გააჩნია, თავისუფლად ავლენს კომუნიკაციის უნარს, სრულყოფილად ავლენს ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობის უნარს.

2 ქულა: სტუდენტი კარგად არის მომზადებული, კარგად ფლობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე ნორმალურია აქტიურობის ხარისხი კარგია, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის ეფექტურად გამოყენების დონე კარგია, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე გააჩნია, ობიექტზე დასმული შეკითხვები და პასუხები ადეკვატურია, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარს ავლენს, თავისუფლად ავლენს კომუნიკაციის უნარს, კარგად ავლენს ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობის უნარს.

1 ქულა:

სტუდენტი საშუალოდ არის მომზადებული, დამაკმაყოფილებლად ფლობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე დაბალია, აქტიურობის ხარისხი დაბალია, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის ეფექტურად გამოყენების დონე საშუალოზე ნაკლებია, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე არ გააჩნია, ობიექტზე დასმული შეკითხვები და პასუხები ნაკლებად ადეკვატურია, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი სუსტია, ავლენს კომუნიკაციის უნარს, არ გააჩნია ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობის უნარი.

0 ქულა-სტუდენტი არ არის მომზადებული, არ ფლობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე ძალიან დაბალია, არ აქტიურობს, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის გამოყენება არა ეფექტურია, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე არ გააჩნია, ობიექტზე დასმული შეკითხვები და პასუხები არა ადეკვატურია, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი არ აქვს, ვერ ავლენს კომუნიკაციის უნარს, არ გააჩნია ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობის უნარი.

ბ) პრაქტიკის დღიურის წარმოება - მაქსიმუმ 30 ქულა

პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტის მიერ დღიურის წარმოება ფასდება სულ 3 ჯერ, ერთი შეფასება უდრის 10 ქულას: 10X3=30 ქულა.

პრაქტიკის დღიურის წარმოების შეფასების კრიტერიუმებია:

10-8 ქულა-დღიურში მოცემული დავალება სწორად და სრულად არის შესრულებული. სტუდენტმა შეძლო დავალების შესრულების სწორი გზის განსაზღვრა, გამოავლინა მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების სრულად გამოყენების, დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინებისა და მსჯელობის უნარი.

7-5 ქულა

დღიურში მოცემული დავალების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, სტუდენტმა შეძლო დავალების შესრულების სწორი გზის განსაზღვრა, მაგრამ ვერ შეძლო მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების სრული გამოყენება, დავალების შესრულების ბოლოს დაუშვა შეცდომა და ვერ შეძლო სრულად დავალების შესრულება.

4 ქულა

დღიურში მოცემული დავალება ნაწილობრივად შესრულებულია, შესწავლილი მასალის ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია, სტუდენტმა შეძლო დავალების შესრულების სწორად დაწყება, მაგრამ გაუჭირდა დავალების შესრულების სწორი გზისა და თანმიმდევრული ეტაპების განსაზღვრა, დაუშვა არსებითი შეცდომა და ვერ შეძლო სამუშაოს გაგრძელება.

3 ქულა

დღიურში მოცემული დავალების მხოლოდ მცირე ნაწილია შესრულებული, შესწავლილი მასალის ცოდნის დონე დაბალია, სტუდენტმა შეძლო დავალების შესრულების სწორად დაწყება, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილის შესრულება, რადგან დავალების შესრულების გზის განსაზღვრისას და დავალების შესრულებისას დაუშვა არსებითი ხასიათის შეცდომები და ვერ შეძლო სამუშაოს გაგრძელება.

2-1 ქულა

დღიურში მოცემული დავალების შესრულება დაწყებულია, მაგრამ დასაწყისშივე სტუდენტმა დაუშვა არსებითი ხასიათის შეცდომები, რაც გამორიცხავდა დავალებაზე შემდგომ მუშაობას და დავალების შესრულებას. სჭირდება მეტი მუშაობა. შესწავლილი მასალის ცოდნის დონე ძალიან დაბალია,

0 ქულა

დღიურში მოცემული დავალება შესრულებული არ არის/შესწავლილი მასალის ცოდნის დონე სრულიად არადააკმაყოფილებელია.

3) პრაქტიკის დასკვნითი შეფასება (მაქსიმუმ 40 ქულა), ახდენს პრაქტიკის პერიოდში მოღებულ კომპეტენციების დემონსტრირებას და ითვალისწინებს პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვას და შედეგა შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) პრაქტიკის ანგარიშის შეფასება - მაქსიმუმ 20 ქულა

ბ) პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია-მაქსიმუმ 20 ქულა

პრაქტიკის ანგარიშის შეფასება შედეგა:

- **ა 1. გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – მაქსიმუმ 5 ქულა:**
 - ა) პრაქტიკის ანგარიში სწორად არის გაფორმებული და რეზიუმეში მოყვანილი დასკვნები პირდაპირ ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – 5-4 ქულა;
 - ბ) პრაქტიკის ანგარიში ნაილობრივ სწორად არის გაფორმებული და რეზიუმეში მოყვანილი დასკვნები ნაწილობრივ ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – 3-2 ქულა;
 - გ) პრაქტიკის ანგარიშის უმეტესი ნაწილი არ არის სწორად გაფორმებული და რეზიუმეში მოყვანილი დასკვნები არ ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – 0 ქულა.
 - გ) პრაქტიკის ანგარიში არ არის წარმოდგენილი – 0 ქულა.

- **ა 2. პრაქტიკის ობიექტის აღწერა, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე – მაქსიმუმ 5 ქულა:**
 - ა) პრაქტიკის ობიექტის აღწერა ზუსტად არის გადმოცემული და ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე – 5-4 ქულა;
 - ბ) პრაქტიკის ობიექტის აღწერა ნაწილობრივ არის გადმოცემული და ქმნის მხოლოდ მიახლოებულ წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე – 3-2 ქულა;
 - გ) პრაქტიკის ობიექტის აღწერა არ არის გადმოცემული და არ ქმნის არანაირ წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე – 1 ქულა.
 - გ) სტუდენტმა პრაქტიკის ობიექტის აღწერა ვერ შეძლო – 0 ქულა.

- **ა 3. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი (რამდენად შეესაბამება პრაქტიკული საქმიანობა სასწავლო/საწარმოო პროფესიული პრაქტიკის მიზნებს, რამდენად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს) – მაქსიმუმ 5 ქულა:**
 - ა) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს და სრულფასოვნად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს – 5-4 ქულა;
 - ბ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი ნაწილობრივ შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს და ნაწილობრივ განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს – 3-2 ქულა;
 - გ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი არ შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს და არ განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს – 1 ქულა.
 - პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი არ არის წარმოდგენილი – 0 ქულა.

- **ა 4. დასკვნები და რეკომენდაციები – 5 ქულა:**
 - ა) პრაქტიკის ანგარიშში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული დასკვნები და სწორად არის გადმოცემული რეკომენდაციები – 5-4 ქულა;
 - ბ) პრაქტიკის ანგარიშში ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული დასკვნები და გადმოცემული რეკომენდაციები – 3-2 ქულა;
 - გ) პრაქტიკის ანგარიშში საერთოდ არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები და არ გააჩნია რეკომენდაციები – 1 ქულა.
 - გ) პრაქტიკის ანგარიში არ არის წარმოდგენილი – 0 ქულა.

ბ) პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია შედეგება:

ბ 1- შესავალი 0-4 ქულა

- 0- ქულა-ტრაფარეტული და უინტერესოა
- 1 ქულა-არ ცდილობს აუდიტორიის დაინტერესებას
- 2 ქულა-საინტერესოდ არის მოწოდებული
- 3 ქულა-ეფექტურია, არატრაფარეტული, იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას

ბ-2) არგუმენტაცია -0- 4 ქულა

- 0- ქულა-არასწორად აქვს არგუმენტაცია
- 1 ქულა-არგუმენტაცია მცირეა და არადამაჯერებელი
- 2 ქულა-არგუმენტები აქვს მაგრამ აკლია ფაქტობრივი მასალით გამყარება
- 3-4 ქულა-არგუმენტები ბევრია და დამაჯერებელი, გამყარებულია ფაქტობრივი მასალით

ბ-3) დასკვნები-0-4 ქულა

- 0 ქულა-არასწორად აქვს გაკეთებული
- 1 ქულა-დასკვნები გაუმართავი და ულოგიკოა
- 2 ქულა-ლოგიკურია და კარგად არის ჩამოყალიბებული
- 3-4-ქულა-ლოგიკურია, კარგად არის ყამოყალიბებული და ორგანიზებულია

ბ-4) აუდიტორიასთან კონტაქტი-0-4 ქულა

- 0- ქულა-ვერ ამყარებს კონტაქტს საუბრობს გაურკვეველად
- 1 ქულა-პერიოდულად ცდილობს კონტაქტს
- 2 ქულა-გრძნობს აუდიტორიას და ძირითადად ამყარებს კონტაქტს
- 3-4-ქულა-აქვს კომუნიკაციის უნარი, ადექვატურად რეაგირებს აუდიტორიის რეაქციაზე.

ბ-5) თვალსაჩინოების გამოყენება-0-4 ქულა

- 0 ქულა-არსწორად იყენებს
- 1 ქულა-იყენებს მწირად
- 2 ქულა-იყენებს მხოლოდ დიაგრამებსა და ცხრილებს
- 3-4-ქულა-იყენებს ახალ ტექნოლოგიებს

მუხლი 8. დათქმა

წინამდებარე ინსტრუქცია არის საერთო თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ყველა პროგრამისათვის, თუ ცალკეული პროგრამა (მაგ. სამაგისტრო პროგრამა) არ ითვალისწინებს განსხვავებულ მოთხოვნებს.



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

შუალედური შეფასების უწყისი N1

აქტიურობა და შესრულებული სამუშაოს დემონსტრირება - 30 ქულა

ფაკულტეტი _____

პროგრამა _____ საფეხური _____

სტუდენტი _____

პრაქტიკის ფორმატი _____

შეფასების კომპონენტები	შესაბამისი მაქსიმალური ქულები	შეფასება
სტუდენტი ბრწყინვალედ არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე მაღალია, აქტიურობის ხარისხი მაღალია, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის ეფექტურად გამოყენების დონე მაქსიმალურია	3	
სტუდენტი კარგად არის მომზადებული, კარგად ფლობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე ნორმალურია აქტიურობის ხარისხი კარგია, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის ეფექტურად გამოყენების დონე კარგია	2	

<p>სტუდენტი საშუალოდ არის მომზადებული, დამაკმაყოფილებლად ფლობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე დაბალია, აქტიურობის ხარისხი დაბალია, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის ეფექტურად გამოყენების დონე საშუალოზე ნაკლებია</p>	<p>1</p>	
<p>სტუდენტი არ არის მომზადებული, არ ფლობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე ძალიან დაბალია, არ აქტიურობს, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის გამოყენება არა ეფექტურია, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე არ გააჩნია</p>	<p>0</p>	
<p>საერთო რაოდენობა</p>		

ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

თარიღი _____

დეკანი _____

უწყისში მოყვანილია ერთი კვირის აქტიურობის ქულა, რომელიც მრავლდება კვირების რაოდენობაზე .



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
შუალედური შეფასების უწყისი N2
პრაქტიკის დღიურის წარმოება - მაქსიმუმ 30 ქულა

ფაკულტეტი _____

პროგრამა _____

სტუდენტი _____

პრაქტიკის ფორმატი _____

შეფასების კომპონენტები	შესაბამისი მაქსიმალური ქულები	შეფასება
დღიურში მოცემული დავალება სწორად და სრულად არის შესრულებული. სტუდენტმა შეძლო დავალების შესრულების სწორი გზის განსაზღვრა, გამოავლინა მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების სრულად გამოყენების, დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინებისა და მსჯელობის უნარი.	10-8 ქულა	
დღიურში მოცემული დავალების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, სტუდენტმა შეძლო დავალების შესრულების სწორი გზის განსაზღვრა, მაგრამ ვერ შეძლო მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების სრული გამოყენება, დავალების შესრულების ბოლოს დაუშვა შეცდომა და ვერ შეძლო სრულად დავალების შესრულება.	7-5 ქულა	
დღიურში მოცემული დავალება ნაწილობრივად შესრულებულია, შესწავლილი მასალის ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია, სტუდენტმა შეძლო დავალების შესრულების სწორად დაწყება, მაგრამ გაუჭირდა დავალების შესრულების სწორი გზისა და თანმიმდევრული ეტაპების განსაზღვრა, დაუშვა არსებითი შეცდომა და ვერ შეძლო სამუშაოს გაგრძელება.	4 ქულა	
დღიურში მოცემული დავალების მხოლოდ მცირე ნაწილია შესრულებული, შესწავლილი მასალის ცოდნის დონე დაბალია, სტუდენტმა შეძლო დავალების შესრულების სწორად დაწყება, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილის შესრულება, რადგან დავალების შესრულების გზის განსა-ზღვრისას და დავალების შესრულებისას დაუშვა არსებითი ხასიათის შეცდომები და ვერ შეძლო სამუშაოს გაგრძელება.	3 ქულა	
დღიურში მოცემული დავალების შესრულება დაწყებულია, მაგრამ დასაწყისშივე სტუდენტმა დაუშვა არსებითი ხასიათის შეცდომები, რაც გამორიცხავდა დავალებაზე შემდგომ მუშაობას და დავალების შესრულებას. სჭირდება მეტი	2-1 ქულა	

მუშაობა. შესწავლილი მასალის ცოდნის დონე ძალიან დაბალია,		
დღიურში მოცემული დავალება შესრულებული არ არის/შესწავლილი მასალის ცოდნის დონე სრულიად არადამაკმაყოფილებელია.	0 ქულა	
საერთო რაოდენობა		
ხელმძღვანელის დასკვნა და კომენტარები		

ხელმძღვანელის ხელმოწერა _____
 თარიღი _____
 დეკანი _____



პრაქტიკის დასკვნითი შეფასების უწყისი ანგარიშის შეფასება (მაქსიმუმ - 40 ქულა)

ფაკულტეტი _____
 პროგრამა _____

№	სტუდენტის გვარი, სახელი	პრაქტიკის ანგარიშის შეფასება და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია				შეფასება
		გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს - მაქსიმუმ 5 ქულა:	პრაქტიკის ობიექტის აღწერა, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე - მაქსიმუმ 5 ქულა	პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი (რამდენად შეესაბამება პრაქტიკული საქიანობა სასწავლო/საწარმო პროფესიული პრაქტიკის მიზნებს, რამდენად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს) - მაქსიმუმ 5 ქულა:	დასკვნები და რეკომენდაციები - 5 ქულა:	

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის წევრების ხელმოწერა 1. _____

2. _____

3. _____

4. _____

თარიღი: _____ კომისიის მდივანი



პრაქტიკის საბოლოო შეფასების უწყისი

ფაკულტეტი _____

პროგრამა _____

პრაქტიკის დაცვის კომისიის წევრები

№	სტუდენტის გვარი, სახელი	შუალედური შეფასებების ქულა (მაქსიმუმ 60 ქულა)	დასკვნითი შეფასების ქულა (მაქსიმუმ 40 ქულა)	საბოლოო ქულა	საბოლოო შეფასება

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის წევრები და ხელმოწერა

1. _____
2. _____
3. _____

კომისიის მდივანი

თარიღი

